

მასწავლებლობა დაწყებით საფეხურზე

ლიკა ზაკაშვილი

“მასწავლებლის სახლში” დაწყებითი საფეხურის პედაგოგები, სხვა საგნის პედაგოგების მსგავსად, სასერტიფიკაციო გამოცდებისთვის ემზადებიან. წინა საგამოცდო ტრენინგები, რომელთა ხანგრძლივობა ორ კვირას არ აღემატება, პედაგოგების შეფასებით, ზოგადია და კონკრეტულ შემთხვევებთან დაკავშირებით რჩევების მიღების საშუალებას არ იძლევა. საგამოცდო ნიმუშებისა და საგამოცდო პროგრამის შესახებ მიღებული ცოდნა პედაგოგს კონკრეტული გამოცდისთვის ამზადებს. სასწავლო პროცესში რეალური ცვლილებებისთვის კი მათი ინტენსიური გადამზადებაა საჭირო.

აღსანიშნავია, რომ ტრენინგებსა და სასერტიფიკაციო გამოცდებს პედაგოგები ძირითადად დადებით ადაფასებენ. თუმცა, ინტენსიური გადამზადების საჭიროებაზე ყველა მათგანი საუბრობს. ”ეს ტრენინგები კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საკმარისი არ არის. ამ პროცესს წყვეტილი სახე აქვს. ტრენინგები და დახმარება კონკრეტულ შემთხვევებთან უნდა იყოს დაკავშირებული და, რაც მთავარია, სპეციალისტთან კონსულტაციის საშუალება უნდა გვქონდეს. გადაწყვეტილებებს ინტუციურად არ უნდა ვიღებდე,” - გვითხრა 52-ე საჯარო სკოლის პედაგოგმა თამილა პოპიაშვილმა.

პირველი საჯარო სკოლის დირექტორი ამირან ჯამაგიძე სკოლის ბაზაზე პროფესიული გადამზადების ხელმისაწვდომობის შესახებ პედაგოგთა მოსაზრებებს იზიარებს და ამბობს, რომ პირველ საჯარო სკოლაში პედაგოგთა გადამზადების მიზნით ხშირად იწვევენ სხვადასხვა სპეციალისტს. ”რამდენიმე სტუმარი გვყავდა მოტივაციისა და კალენდარული გეგმის შედგენასთან დაკავშირებით. შარშან გაკვეთილის დაგეგმვის პრობლემა გვქონდა და

მოვიწვიეთ ტრენერები. რა თქმა უნდა, ჯობია, რომ სკოლა გეგმავდეს პედაგოგის განვითარების ტრენინგებს, რადგან პრობლემებს სკოლა უკეთ ხვდება,”- ამბობს ამირან ჯამაგიძე და აღნიშნავს, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში პედაგოგთა ტრენინგებისთვის თანხებს გაითვალისწინებენ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სახელმწიფო პედაგოგებისთვის მხოლოდ ორკვირიან ტრენინგებს აფინანსებს, დამატებითი ტრენინგების გავლის მსურველებს შესაბამისი საფასურის გადახდა უწევთ, რაც ფასიანი ტრენინგების გავლაზე უარის თქმის ერთადერთი მიზეზია.

წერისა და სწავლების სტრატეგიები

დაწყებითი საფეხურის პედაგოგებს კითხვისა და წერის სწავლების სტრატეგიების შესახებ ცოდნის გარღმავება სურთ. წინა სასერტიფიკაციო ტრენინგებზე პედაგოგები წერისა და კითხვის სწავლების უნარებს გადიან, თუმცამ ამ უნარებისა და ტექნიკის სათანადოდ შესასწავლად, ორი კვირა საკმარისი არ არის. კითხვის/ წაკითხულის გააზრების უნარის ჩამოყალიბა ადრეულ ასაკში, სასკოლო პერიოდის პირველივე ეტაპზე იწყება. პედაგოგთა კვალიფიკაციასა და პროფესიულ უნარებს მოსწავლეთა მიღწევებზე დიდი გავლენა აქვს.

დაწყებითი საფეხურის პედაგოგთა კვალიფიკაციის საკითხს მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა 2006 წელს ჩატარებულ წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში. (PIRLS) კვლევის ფარგლებში კითხვის სწავლების მეთოდოლოგიაში პედაგოგების კვალიფიკაცია სპეციალური კითხვარის საშუალებით შეფასდა. განათლების ექსპერტის - ია კუტალაძის თქმით,

მასწავლებლის კვალიფიკაციასა და მოსწავლეთა მიღწევებს შორის კავშირის დადგენა კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო.

მისივე თქმით, 2006 წლის კვლევის შედეგების გამოქვეყნების შემდეგ, გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა დაწყებითი კლასების მოქმედი, პრაქტიკოსი პედაგოგებისათვის სპეციალური ტრენინგების ჩატარებისა და დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოების მომზადების შესახებ რეკომენდაციები გასცა (დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგებისათვის „როგორ ვასწავლოთ კითხვა“ (2010) გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა გამოსცა.) მასწავლებელთა ტრენინგის, პროფესიული დაოსტატების რამდენიმე ინიციატივა დონორი ორგანიზაციების მხრიდანაც მხარდაჭერილი იყო. თუმცა, ია კუტალადის თქმით, პრობლემა მნიშვნელოვანია და ის უფრო სისტემურ მიდგომას მოითხოვს.

“სწორედ ამიტომ, ჩვენ მიერ რეკომენდებული იყო დაწყებითი კლასის მომავალი მასწავლებლების მოსამზადებელი პროგრამების რეფორმირება, რომელთა კურიკულუმშიც ყურადღება უნდა გამახვილდეს კითხვის სწავლების პროგრამაზე, მომავალი მასწავლებლებისთვის იმ უნარების გამომუშავებაზე, რომლითაც ისინი დაეხმარებიან მოზარდებს კითხვის საბაზო უნარის განვითარებაში,”- თქვა ია კუტალადემ. მისივე თქმით, ქართველ მასწავლებლებს უმაღლესში სწავლის პერიოდში არ ჰქონდათ გავლილი სპეციალური კურსი, რომლის ფარგლებშიც ისინი კითხვის სწავლების სტრატეგიებს შეისწავლიდნენ, რაც ამ მიმართულებით მათი გადამზადების საჭიროებას კიდევ ერთხელ ადასტურებს. “მასწავლებლებს საშუალება უნდა მიეცეთ, გაეცნონ ტექსტის განხილვისა და გააზრების იმ მეთოდებს, რომლებსაც თანამედროვე სასწავლო პრაქტიკაში იყენებენ მსოფლიოს წარმატებულ საგანმანათლებლო სისტემებში. პრაქტიკოსმა პედაგოგმა უნდა იცოდეს, როგორ შეუწყოს ხელი მოსწავლეთა კითხვის უნარის განვითარებას და, ზოგადად, კითხვისადმი პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. მარტივად რომ ვთქვათ, მან უნდა ასწავლოს და შეაყვაროს ბავშვს კითხვა,”- თქვა ია კუტალადემ. დაწყებით საფეხურზე

მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების (ბუნების) სწავლების პროცესში სერიოზული პრობლემები აჩვენა 2007 წელს მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევამ. ამ კვლევის ფარგლებში მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში 9-10 და 13-14 წლის მოზარდების ცოდნა შეფასდა.

ია კუტალაძემ იმ საერთაშორისო კვლევის შედეგები გაიხსენა, რომელიც სტუდენტებთან - მათემატიკის მომავალ მასწავლებლებთან ჩატარდა. ეს კვლევა 2008 წელს განხორციელდა იმ უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც დაწყებითი და საშუალო სკოლების მომავალ პედაგოგებს ამზადებენ.

“კვლევაში საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებელი მონაწილეობდა. შედეგები ჩვენთვის ძალიან დამაფიქრებელი აღმოჩნდა. მათემატიკისა და მათემატიკის პედაგოგიკის ცოდნის თვალსაზრისით, დაწყებითი საფეხურის მათემატიკის კვლევაში მონაწილე მომავალმა მასწავლებლებმა ზოგადად კარგი შედეგები ჩვენეს - კვლევაში მონაწილე ყველა ქვეყანას საშუალო ან საშუალოზე მაღალი შედეგი ჰქონდა. გამონაკლისს წარმოადგენდა საქართველო. ქართველ სტუდენტებს მათემატიკის ცოდნის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვთ კვლევაში მონაწილეთა შორის,” - გვითხრა ია კუტალაძემ.

კვლევები დაწყებითი საფეხურის პედაგოგთა გადამზადების საჭიროებას ადასტურებს და ცხადყოფს, რომ სერტიფიკატის მიღების მიუხედავად, პედაგოგთა გადამზადებას ინტენსიური ხასიათი უნდა ჰქონდეს.

მოსწავლეთა შესაძლებლობების დადგენა

დაწყებით კლასი მოსწავლეთა სოციალიზაციის პირველი ეტაპია, ამიტომ პედაგოგს მოსწავლეთა შესაძლებლობების, სოციალური უნარ-ჩვევების, თავისებურებების

დასადგენად საჭირო პროფესიული უნარები უნდა ჰქონდეს. ელენე ფირცხალავა 18 წელია 52-ე საჯარო სკოლაში დაწყებითი საფეხურის პედაგოგია. პირველკლასელთა შესაძლებლობებისა და დამოკიდებულებების შესახებ ინფორმაციის მისაღებად უკვე მესამე წელია სწავლის დაწყებამდე ბავშვებთან ტესტირებას ატარებს. როგორც თავად ამბობს, ეს მეთოდი პირველკლასელთა შესაძლებლობებისა და სასკოლო მზაობის შესწავლაში ეხმარება. პირველკლასელებთან ტესტირების ჩატარების პრაქტიკა, რაც მოსწავლეთა შესახებ სწავლის დაწყებამდე გარკვეული ინფორმაციის მიღებას გულისხმობს, თბილისის რამდენიმე საჯარო სკოლაშია დანერგილი. მიაჩნიათ, რომ სწავლის დაწყებამდე სკოლამ, მოსწავლეთა საგანმანათლებლო საჭიროებების განსასაზღვრად, მათი ცოდნა და უნარები უნდა გაითვალისწინოს. ტესტირებით კი სწორედ ამ შესაძლებლობებს არკვევენ.

“სკოლაში მიღებამდე, ათი დღით ადრე, ყველა ჩემს მოსწავლეს ვესაუბრები. ცალკე მოსწავლეს, ცალკე მის მშობელს ვხვდები, ვადგენ, ვის როგორი შესაძლებლობები აქვს. სასკოლო მზაობა ყველა ბავშვის შემთხვევაში განსხვავებულია. ზოგს ბალი საერთოდ არ გაუვლია, მაგრამ შეიძლება ოჯახმა მისცა ყველა ის ჩვევა და ცოდნა, რაც მას სკოლაში სწავლისას სჭირდება. ამ ინფორმაციის მიხედვით კი ჩემთვის მონაზახს ვაკეთებ იმაზე, თუ ვისთან როგორ ვიმუშაო,” - ამბობს ელენე ფირცხალავა.

დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა დამოკიდებულებები განსხვავებული მხოლოდ სკოლისა და სასწავლო პროცესის მიმართ არ არის, მათ ერთმანეთისგან სოციალური უნარ-ჩვევებიც განასხვავებთ. ამ განსხვავების პოვნა და შემდეგ მათი სასწავლო პროცესში გათვალისწინება პედაგოგის ცოდნასა და კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული - ტესტირებას ელენე და მისი კოლეგები სწორედ ამ მიზნებისთვის იყენებენ. თუმცა, ცალსახად აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და საჭიროებების ობიექტურად შეფასება

ყველა პედაგოგს არ შეუძლია. პირველ საჯარო სკოლაში პირველკლასელთა ტესტირებას უკვე მეორე წელია ატარებენ. ტესტი აქაც ბავშვების სასკოლო მზაობას ამოწმებს. წარმოსახვა, სოციალური და მოტორული უნარები, ლექსიკური მარაგი - პირველი საჯარო სკოლის პედაგოგები ბავშვის შესახებ ამ უნარებზე ინფორმაციას ტესტირების შედეგებიდან იღებენ. ტესტირების შედეგებს სკოლის ფსიქოლოგი კლასის დამრიგებელთან ერთად განიხილავს. ფსიქოლოგისა და კლასის პედაგოგის თანამშრომლობას პედაგოგები ასე აღწერენ: "ფსიქოლოგი დებს დასკვნას, რა უნარების განვითარება სჭირდება ბავშვს. თუ ბავშვს განსაკუთრებული საჭიროებები აქვს, მისთვის ცალკე გეგმას ვადგენთ," - ამბობს პედაგოგი. პედაგოგების განმარტებით, ხშირად ბავშვებთან ურთიერთობისას ისეთი პრობლემა ჩნდება, რაც პედაგოგის კვალიფიკაციის ჩარჩოებს ცდება და სპეციალისტის დახმარება ხდება საჭირო.

"ბავშვის ასაკობრივი თავისებურებები ვიცით, გავეცანით სხვადასხვა ფსიქოლოგის ნაშრომებს, ტრენინგებს გავდივართ, მაგრამ თეორია პრაქტიკას ხშირად არ ემთხვევა და თან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენ ფსიქოლოგები ვერ გავხდებით," - გვითხრა ერთ-ერთმა პედაგოგმა.

პირველი საჯარო სკოლის დირექტორის ამირან ჯამაგიძის განმარტებით, ტესტის მეშვეობით ბავშვების მიმართ მშობლების დამოკიდებულებაც მოწმდება. "პირველი მიზანი იყო, გაგვეგო, რამდენად კარგად იცნობენ მშობლები საკუთარ შვილებს. ერთსა და იმავე კითხვებს ვუსვამთ მშობლებსაც და შვილსაც. შემდეგ პასუხებს ვადარებთ და ვადგენთ, რამდენად გულწრფელია მშობელი სკოლასთან ურთიერთობაში," - გვითხრა ამირან ჯამაგიძემ. მისივე თქმით, მშობლების უმეტესობას საკუთარი მოვალეობები ოჯახის სხვა წევრებისთვის აქვს დელეგირებული. "იყო შემთხვევები, როცა მშობელი კითხვას, რომელიც

მის შვილს ეხება, პასუხობს, რომ “ძიამ იცის, ან ბებია,” - თქვა ამირან

ჯამაგიძემ. დაწყებით საფეხურზე სკოლასთან მშობლის თანამშრომლობა მნიშვნელოვანია როგორც ბავშვისთვის, ისე სკოლისთვის.

“მშობელს პედაგოგთან კონტაქტი უნდა ჰქოდეს, უნდა ინტერესდებოდეს თავისი შვილით და ობიექტურად შეეძლოს მისი წარმატებისა და წარუმატებლობის განსჯა,” - აღნიშნავს პირველი საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის კლასების კოორდინატორი. დაწყებით საფეხურზე ბავშვებთან ინდივიდუალური მუშაობის პრაქტიკის დანერგვას ხელს კლასში ბავშვების რაოდენობა უშლის. მას შემდეგ, რაც კლასში ბავშვების დასაშვები რაოდენობა 35 გახდა, პედაგოგებს საკლასო პროცესის მართვაში პრობლემები შეექმნათ. როგორც იკვეთება, განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და მრავალრიცხოვან კლასებში პედაგოგებს პროფესიული საქმიანობის განხორციელება და სხვადასხვა პროფესიული ამოცანის გადაჭრა უჭირთ. ისინი პრობლემის გადაჭრის ორ გზაზე საუბრობენ. ამბობენ, რომ, კვალიფიკაციის მიუხედავად, სპეციალური ცოდნის მქონე პირის ფუნქციის შეთავსება უჭირთ. ამიტომ, სკოლაში ფსიქოლოგის დაბრუნებას ითხოვენ. თუმცა, ვიდრე ფსიქოლოგს მიმართავენ, მათ პრობლემების ინდენტიფიცირებისთვის საჭირო ცოდნის ნაკლებობაც აქვთ და ამბობენ, რომ ხშირად თავადაც არ ესმით ბავშვთან შექმნილი პრობლემის მიზეზი და მასთან გასამკლავებლადაც არაფერს აკეთებენ.

პროექტი „ახალი შესაძლებლობები საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებს“

დაფინანსებულია ევროკავშირისა და ღია საზოგადოების ინსტიტუტის მიერ და

ხორციელდება სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის, ასოციაცია ზეკარისა და

მარნეულის ახალგაზრდული ცენტრის მიერ. სტატიში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება

არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და ღია საზოგადოების ინსტიტუტის მოსაზრებებს.

საქართველოს
საერთაშორისო
ინსტიტუტი



CIVIC
DEVELOPMENT
INSTITUTE

